ტყუპი თოვლის ბაბუდი ქონბი

საქარქ.
ფონდი Фонд 287 1 № 38

საქარქ.
ფონდი Фонд 287 1 № 38

დასკანირებულია 21
14 01 25

43.

საინტერესო ნოველები

ახალგაზრდა პროზაიკოსის ვლადიმერ თორდუას ნოველებისა და ნარკვევების კრებული „ომგადახდილის თვალით“ მეტად საინტერესო მოვლენაა თანამედროვე ქართულ პროზაში როგორც ჟანრობრივი ფორმით, ისე ჯარისკაცული ცხოვრების თავისებური ასახვით.

მძაფრი შინაგანი ექსპრესია, ლაკონურობა, სიტყვის სიმკვრივე, სულიერი განცდის მოკლე, მაგრამ მრავალისმეტყველ ფრაზაში გადმოცემა. ფსიქოლოგიური სიმართლე და ცხოვრების დეტალების მხატვრული ათვისების უნარი — აი, რა ახასიათებს ახალგაზრდა პროზაიკოსის ამ წიგნს.

ვლ. თორდუამ მკითხველთა ფართო მასის ყურადღება 1949 წელს გამოცემული პირველი წიგნით „ჩიტი-ციცინათი“ მიიქცია. „ომგადახდილის თვალით“ ავტორის უდაო შემოქმედებით წინსვლასა და ზრდას მოწმობს. თვითეული ნოველა, ანუ ჯარისკაცის ჩანაწერი, როგორც მას ავტორი უწოდებს, მიუხედავად თავისი მცირე, ზოგჯერ ფრაგმენტული მოცულობისა, დამაჯერებლად გვიხატავს სამამულო ომის ამა თუ იმ ეპიზოდს, იგი გვაფიქრებს, ღრმად გვახედებს ამ ეპიზოდური მოვლენების სიღრმეში.

ჯარისკაცის უბის წიგნაკში ჩანაწერი საბრძოლო ეპიზოდები, მის მიერ ფრონტის წინა ხაზზე უშუალოდ განცდილი შთაბეჭდილებები ომიდან დაბრუნების შემდეგ ახალგაზრდა პროზაიკოსში გაცოცხლებულან უაღრესად საინტერესო და ამაღელვებელ სურათებად, რომლებმაც თავისი გამოსახვა ფსიქოლოგიური ნოველის ქარგაში ჰპოვეს. ჩვენ ამ ნოველებში ვხედავთ ომის ცოცხალ, შემზარავ სურათებს. ამიტომაა, რომ მკითხველი ავტორ-ჯარისკაცთან ერთად განიცდის ბრძოლების სირთულეს და გამარჯვების სიხარულსაც, თოვლიან სანგრებში ფიქრებსაც და დაუდგომელი შეტევის აღტყინებასაც, წინსვლითი გაქანების ძლევამოსილებასაც და ჭრილობის მძიმე ტკივილებსაც.

წიგნში ერთ-ერთი მძაფრი ფსიქოლოგიური ნოველაა „სურათი“. ამ პატარა ნამდვილ ამბავში გამოხატულია უაღრესად მძიმე ტრაგიკული შემაძრწუნებელი სურათი ფრონტის ცხოვრებიდან, რომელიც მთელი თავისი საშინელებით მკაფიოდ ახასიათებს გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა მხეცობას.

ცოცხალი ადამიანის ნამდვილი პორტრეტული სახეა დახატული ნოველაში „ლანგე“. იგი აგვიწერს სახელგანთქმული ლატვური დივიზიის ასეულის პარტორგის ერნეტ მატის-ძე ლანგეს გმირულ ბრძოლას თავისი მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის. თორდუა თვითონ ლანგესთან ერთად იბრძოდა ლატვიაში. ისინი ერთმანეთს დააშორა მტრისაგან მიღებულმა ჭრილობებმა. მაგრამ მათი მეგობრობა კიდევ უფრო განამტკიცა გამარჯვების სიხარულმა. საინტერესოა, აღინიშნოს, რომ ამ ნოველამ ხელი შეუწყო ყოფილ თანამებრძოლებს შორის გაწყვეტილი ურთიერთობის აღდგენას ომის შემდეგ; იგი ქართველი და ლატვიელი ხალხის მეგობრობის ერთ-ერთ საუკეთესო გამოხატულებად გადაიქცა. ვლადიმერ თორდუას ამ ნოველის რუსული თარგმანი თავის დროზე დაიბეჭდა ლატვიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოში. ლანგე, რომელიც ამჟამად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, მხურვალედ გამოეხმაურა ფრონტელი მეგობრის გამოძახილს. 1949 წლის 9 მაისის ნომერში გაზეთმა „კომუნისტმა“ დაბეჭდა ლანგეს პასუხი თორდუასადმი. მისი მიპატიჟებით ვლ. თორდუა იმავე წელს ეწვია ლატვიის დედაქალაქს—რიგას. ომგადახდილი მეგობრები ერთმანეთს მხურვალედ შეხვდნენ ომგადახდილ სოფელში. ეს ნამდვილი ამბავი საფუძვლად უდევს ნოველის სიუჟეტურ ქარგას და მაღალ მორალურ თვისებებს ანიჭებს მას.

სამამულო ომის თემატიკის გარდა, ვლადიმერ თორდუას შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედების მანძილზე სოციალისტური მშენებლობის ასახვას. მწერალი განსაკუთრებული სიყვარულითა და გულთბილობით გვიჩვენებს თავის ნარკვევებში სოციალისტური სოფლის ახალ, მოწინავე ადამიანებს, უხვი საკოლმეურნეო მოსავლის ოსტატებს, ასახავს კომუნისტების მებრძოლ, დამრაზმველ როლს კოლმეურნეობათა სამეურნეო, პოლიტიკური და ორგანიზაციული განმტკიცებისათვის. ამ მხრივ საინტერესოა ნარკვევი — „წერილები სოფლიდან“, რომელშიც ნათლად არის ნაჩვენები სოციალისტური სოფლის მიმზიდველი და წარმტაცი სახე. ვლ. თორდუას ძლიერ ემარჯვება ადამიანთა სახეების დამაჯერებლად, ცოცხლად დახატვა. „ომგადახდილის თვალით“ ამ მხრივ ქართული პროზის მნიშვნელოვანი შენაძენია.

მაგრამ ავტორს ზოგჯერ ახასიათებს გადაჭარბებული მგრძნობელობა, ზედმეტი დეტალიზაცია, რაც ანელებს შთაბეჭდილებას. ამ ნაკლის გამოსწორების შემთხვევაში ვლადიმერ თორდუას სახით ჩვენს პროზაიკოსთა რიგებს ძლიერი ძალა შეემატება.

აკ. თოდუერია

„ლიტერატურული საქართველო“ 1951 წ. 9 მარტი

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ლოჯი, რომელიც პირველი გამოვიდა, ცდილობდა საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს გამოკვლევა, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ორგანოები ეწევიან, განხორციელებულ იქნა ტრიუგვე ლის „თხოვნით“, რათა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ „მიაწოდოს მას ინფორმაცია მისი აპარატის ამერიკელ მოსამსახურეთა შესახებ“. ლოჯი აგრეთვე ცდილობდა ყოველი ღონისძიებით დაემტკიცებინა, თითქოს ეს გამოკვლევა „სავსებით შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების სულისკვეთებას“. დასასრულ ამერიკის წარმომადგენელმა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციების სახელით შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს ხელი შეუწყონ გენერალურ მდივანს მის მოვალეობათა შესრულებაში.

ლოჯმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატების დელეგაცია ხმას მისცემს რეზოლუციის იმ პროექტის წინააღმდეგ, რომელიც 12 არაბულმა და აზიურმა ქვეყანამ წარმოადგინა გენერალური მდივნის მოხსენების გამო.

არაბულ-აზიური ქვეყნების რეზოლუციის ამ პროექტში წინადადებას იძლევიან, რომ გენერალური ასამბლეის VII სესიამ არ მიიღოს გადაწყვეტილებანი ამ მოხსენების გამო, არამედ შესასწავლად გადასცეს იგი 15 ქვეყნის წარმომადგენელთაგან შემდგარ კომიტეტს, რომელიც თავის მხრივ ამ შესწავლის შედეგებს მოახსენებს გენერალური ასამბლეის მერვე სესიას. არაბული და აზიური ქვეყნების რეზოლუციის პროექტში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ პოლიტიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პერსონალის მიმართ უნდა

[illegible] ბული შტატების მთავრობას [illegible] განსაკუთრებული უფლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მომუშავე ამერიკელ მოქალაქეთა მიმართ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბევრი ორგანო, აღნიშნა მან, მუშაობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, მაგრამ არცერთ ამ სახელმწიფოთაგანს არ მიუღია ამ ორგანოებში მომუშავე თავიანთ მოქალაქეთა მიმართ ისეთი უფლებანი, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მიენიჭა. ეს პრინციპი, რომელსაც გენერალური მდივანი იცავს, არ შეესაბამება საერთაშორისო ორგანიზაციის პრინციპებს და მისი გამოყენებით გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიძლება საერთაშორისო ორგანიზაციიდან გადაიქცეს ეროვნულ ორგანიზაციად, რომელიც მთავრობის მოსამსახურეთა რამდენიმე ჯგუფისაგან შედგება.

ინდოეთის დელეგატმა გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს თანამშრომლები დაითხოვონ იმისათვის, რომ ისინი უარს ამბობენ უპასუხონ მათი ლოიალობის შესახებ მიცემულ კითხვებზე, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ღონისძიების გამოყენება წარმოადგენს სამოქალაქო უფლებათა დარღვევას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, განაცხადა ინდოეთის წარმომადგენელმა, არ უნდა შეიწყნაროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების თავისუფალი განმარტება და ამრიგად თავიდან აიმოროს წესდების დარღვევა. დასასრულ მან მხარი დაუჭირა 12 არაბული და აზიური ქვეყნის რეზოლუციის ერთობლივ პროექტს და მოუწოდა დელეგატებს არ აჩქარდნენ ტრიუგვე ლის მოხსენების მიღების საქმეში.

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 28 მარტი. (საკდესი). პოლიტიკური კომიტეტი 27 მარტის დილის სხდომაზე შეუდგა იმ საკითხის განხილვას, რომელიც დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი სახელწოდებით: „გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალების მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარებაში ბრალდების მიუკერძებელი გამოკვლევის შესახებ“.

სხდომის გახსნის შემდეგ სსრ კავშირ[illegible] ა. ზორინ[illegible] შესაძლებელია მხოლოდ იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლების მონაწილეობით, რომლებიც უშუალოდ დაინტერესებული არიან ამით და რომლებსაც ეხება ომის ბაქტერიოლოგიურ საშუალებათა ხმარება.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელთა მონაწილეობის [illegible] ამ საკითხის განხილვა [illegible] უარ[illegible]

За выдачей дела явился

В этот день в производстве имелся

[illegible] (2) [illegible]

"02" 11 93 г.

[illegible]